საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

2018 წლის 08 ოქტომბერი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №4/18

მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2018 წლის 08 იანვრის №-- საჩივრის საფუძველზე „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქცია), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად 2018 წლის 26 ივნისს მომზადებული №4/18 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 08 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ -- სააპელაციო სასამართლომ განიხილა სააპელაციო საჩივარი მოსამართლეების - -- --, -- -- და -- -- შემადგენლობით. საჩივრის ავტორის მითითებით, მოპასუხე -- -- მოსამართლე -- -- მამიდის -- -- ნათლულია. ამასთან, -- ცხოვრობს სოფელ -- და არის -- -- ახლო მეზობელიც, ასევე მათი უშუალო მეზობელი გახლავთ მოსამართლე -- --, რომელსაც მიწის ნაკვეთი აქვს -- მეზობლად. ამასთან, -- -- --მეგობარია. შესაბამისად, საჩივრის ავტორის მითითებით მოსამართლეს უნდა გაეცხადებინა თვითაცილება, რათა აღნიშნულ გარემოებას გავლენა არ მოეხდინა სასამართლოს გადაწყვეტილებაზე.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2016 წლის 02 თებერვალს -- რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა -- -- მოპასუხე -- -- მიმართ და მოითხოვა -- -- სავალდებულო გზის თმენის ვალდებულების დაკისრება მის საკუთრებაში არსებულ ნაკვეთზე საკადასტრო კოდი --.

შეგებებული სარჩელით -- -- -- რაიონულ სასამართლოს მიმართა 2016 წლის 02 მარტს და მოითხოვა -- -- ქმედების დავალდებულება. კერძოდ, -- -- ნაკვეთის მხარეს აბანოს კარისა და ფანჯრების აშენების, ასევე სამანქანე ჭიშკრისა და ღობის გაკეთების დავალდებულება.

-- რაიონული სასამართლოს 2016 წლის 11 მაისის გადაწყვეტილებით (მოსამართლე -- --) -- -- სარჩელი დაკმაყოფილდა; -- -- დაეკისრა სავალდებულო გზის თმენის ვალდებულება მის საკუთრებაში არსებულ ნაკვეთზე საკადასტრო კოდი --; დადგენილ იქნა სავალდებულო გზა -- -- საკუთრებაში არსებულ ნაკვეთზე საკადასტრო კოდი -- მისასვლელად (ჭიშკარი) და ასევე ამავე ნაკვეთზე განთავსებულ ნაგებობამდე (საზოგადოებრივი აბანო); -- -- შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა -- -- 2016 წლის 22 ივნისს.

-- სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 30 დეკემბრის განჩინებით (მოსამართლეები - -- --, -- --, -- --) -- -- შუამდგომლობა დაკმაყოფილდა; -- რაიონული სასამართლოს 2016 წლის 11 მაისის გადაწყვეტილებაზე -- -- სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით სამოქალაქო საქმეზე დაინიშნა ექსპერტიზა; საქმეზე შეჩერდა წარმოება ექსპერტიზის ჩატარებამდე.

-- სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 01 მაისის განჩინებით (მოსამართლეები - -- --, -- --, -- --) განახლდა საქმის წარმოება; -- -- სააპელაციო საჩივრის განხილვა დაინიშნა 2017 წლის 15 ივნისს.

-- სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 06 ივლისის გადაწყვეტილებით (მოსამართლეები - -- --, -- --, -- --) -- -- სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა -- რაიონული სასამართლოს 2016 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილება; -- -- სარჩელი -- -- მიმართ -- -- საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის სავალდებულო გზად დატვირთვის გამოყენების მოთხოვნით, არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა -- -- 2017 წლის 22 აგვისტოს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 06 ნოემბრის განჩინებით (მოსამართლე -- --) -- -- საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 381-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 15 დეკემბრის განჩინებით (მოსამართლეები - -- --, -- --, -- --) -- -- საკასაციო საჩივარი როგორც დაუშვებელი დარჩა განუხილველად.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1}-ე მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10}-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების 2.5. პუნქტის შესაბამისად, მოსამართლემ უნდა აიცილოს საქმე ისეთ შემთხვევებში, როდესაც მას არ შესწევს უნარი საქმე განიხილოს მიუკერძოებლად ან როდესაც გონიერ დამკვირვებელს შეიძლება მოეჩვენოს, რომ მოსამართლეს არ შესწევს საქმის მიუკერძოებლად განხილვის უნარი.

საქმის დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად განხილვაში იგულისხმება არა მხოლოდ მისი დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად განხილვა, არამედ აღქმა იმისა (საზოგადოების, განსაკუთრებით მხარეთა მხრიდან), რომ საქმე სასამართლომ განიხილა დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად.

მოსამართლეთა საყოველთაო ქარტიის მე-5 მუხლის თანახმად, სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებისას მოსამართლე უნდა იყოს მიუკერძოებელი და ეს უნდა იყოს გამოხატული.

მოვლენათა გარეგნულად გამოჩენის ფორმას – აღქმას, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან, ამ დროს სასწორზე დევს ის ნდობა, რომელსაც სასამართლოები ნერგავენ დემოკრატიულ საზოგადოებაში.

მოსამართლის აცილების ინსტიტუტი ემსახურება, ერთის მხრივ, დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპის განმტკიცებას და, მეორეს მხრივ, სწორედ სასამართლოს სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის მოპოვებასა და შენარჩუნებას.

მოსამართლის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა წარმოადგენს მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირების უმთავრეს პრინციპს და შესაბამისად, მოსამართლის უზენაეს ვალდებულებას.

აღსანიშნავია, რომ სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ მოსამართლის მიუკერძოებლობა განმარტებულია, როგორც "მოსამართლის მიერ წინასწარ შექმნილი აზრის არ ქონა". მოსამართლე საქმის განხილვისას, არა მხოლოდ უნდა იყოს მიუკერძოებელი, არამედ, გონიერი დამკვირვებლის თვალშიც უნდა აღიქმებოდეს ასეთად. შესაბამისად, ვინაიდან მართლმსაჯულების სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის განმტკიცება წარმოადგენს მართლმსაჯულების ლეგიტიმურობის გარანტიას, ნებისმიერი წინაღობა, რომელიც საფრთხეს უქმნის ამ რწმენას უნდა იქნეს გამორიცხული და ნებისმიერი მოსამართლე, რომელთან მიმართებითაც ვერ იქნება მიუკერძოებლობის აღქმა უზრუნველყოფილი, აცილებულ უნდა იქნეს საქმის განხილვისაგან. საქმეზე MORICE v. FRANCE სასამართლომ აქცენტი გააკეთა ობიექტურობის ტესტზე (იხ. *მიკალეფი,* § 95) და განმარტა, რომ არ არსებობს მკაფიო გამიჯვნა სუბიექტურ და ობიექტურ მიუკერძოებლობას შორის, ვინაიდან მოსამართლის ქცევამ შეიძლება არა მხოლოდ გამოიწვიოს ობიექტური უნდობლობა მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით გარე დამკვირვებლის თვალში (ობიექტური ტესტი), არამედ შეიძლება შეეხოს მისი შინაგანი რწმენის საკითხს (სუბიექტურობის ტესტი) (იხ. *კიპრიანუ* §119). ნებისმიერი მოსამართლე, რომლის მიმართ არსებობს ლეგიტიმური მიზეზი ვივარაუდოთ, რომ ის არ არის სრულიად მიუკერძოებელი, უნდა ჩამოსცილდეს საქმეს (იხ. *კასტილო ალგარი ესპანეთის წინააღმდეგ,* 1998 წლის 28 ოქტომბერი, § 45, ანგარიშები 1998-VIII და *მიკალეფი* § 98).

მნიშვნელოვანია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე და 32-ე მუხლები არეგულირებს მოსამართლის აცილებისა და თვითაცილების საკითხებს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის თანახმად, მოსამართლემ არ შეიძლება განიხილოს საქმე ან მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, თუ ის: ა) ამ საქმეში თვითონ წარმოადგენს მხარეს, ან მას ამა თუ იმ მხარესთან საერთო უფლებები ან ვალდებულებები აკავშირებს; ბ) ამ საქმის ადრინდელ განხილვაში მონაწილეობდა მოწმედ, ექსპერტად, სპეციალისტად, თარჯიმნად, წარმომადგენლად ან სასამართლო სხდომის მდივნად; გ) მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია; დ) პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან

თუ არის სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში; ე) ამ საქმეში მონაწილეობდა მედიატორად.

ამდენად, მამიდის ნათლულობა არ წარმოადგენს კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ მოსამართლის აცილების საფუძველს, ხოლო მხოლოდ იმ გარემოებაზე მითითება, რომ -- -- -- -- მამიდის -- -- ნათლულია (დაუდასტურებელი ფაქტი) არ ქმნის მოსამართლე -- --, ისევე როგორც, სააპელაციო სასამართლოს კოლეგიურ შემადგენლობის მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანის საფუძველს.

მნიშვნელოვანია, რომ საჩივრის ავტორის მითითება იმის თაობაზე, რომ მოსამართლე -- -- მიწის ნაკვეთი აქვს -- მეზობლად მოსამართლე -- -- დეკლარაციის შესაბამისად არ დასტურდება. მოსამართლის საკუთრებაში სოფელ -- მიწის ნაკვეთის ქონის ფაქტი თანამდებობის პირთა ქონებრივ დეკლარაციაში მითითებული არ არის.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2018 წლის 08 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 12 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75[12] მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №4/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი